„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

17 ოქტომბერი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ლუკა მაისურაძის სახელობის საქართველოს ჩემპიონატი 2015 წელს დაბადებულ ვაჟთა შორის

2025 წელი
15-16 ნოემბერი
ხაშური

I. შეჯიბრების მიზანი

- პერსპექტიული ძიუდოისტების გამოვლენა.
- საშეჯიბრო პრაქტიკის ამაღლება ნორჩ ძიუდოისტებში.
- ძიუდოისტების მომზადება მომავალი წლის შეჯიბრებებისთვის

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ 2015 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები.
- პირადმა მწვრთნელებმა არ უნდა დაუშვან შეჯიბრებაში ისეთი ძიუდოისტის მონაწილეობა, რომელსაც არ აქვს ვარჯიშის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

IV. შეჯიბრების ადგილი, დრო, რეგისტრაცია და კენჭისყრა,

- შეჯიბრება ჩატარდება 15-16 ნოემბერს ხაშურში კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, იმერეთის ქ. 103ა.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 14 ნოემბერი, წასვლის დღე – 17 ნოემბერი.
  შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 9 ნოემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას. რეგისტრაცია დასრულება 8 ნოემბერს 23:59-ზე.
- 13 ნოემბერს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- **რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.**

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი (სუფთა დრო);
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 9 წონით კატეგორიაში.
  -27კგ, -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ, -55კგ, +55კგ.
  15 ნოემბერი: -27კგ, -30კგ, -34კგ, -38კგ.
  16 ნოემბერი: -42კგ, -46კგ, 50კგ, -55კგ, +55კგ.
- **P.S.** **რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.**
- შეჯიბრებაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები.

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს **ხაშურში** კომპლექსურ სასპორტო სკოლაში და **თბილისში** ძიუდოს აკადემიაში.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ზურაბ უსუფაშვილი 577994407, ბეგლარ ხარშილაძე 558502737, ომარი ლომიძე 555139292.

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე